

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #58

ქ. თბილისი

2024 წელი, 27 დეკემბერი, 10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ლილუ ლიპარტელიანი, შოთა გრიგოლია, ნინო წულაძე (03-0324361162; 03-0324361164), მამუკა გუგუშაშვილი, საბა ბუაძე, თამარ ხვედელიანი (03-032436172)

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

დავით ჩანქსელიანი - შპს "თბილსერვის ჯგუფი" - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

№	საკითხის დასახელება
1.	„ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03243612-03 - 26.12.2024)
2.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-0324361136-03 - 26.12.2024)
3.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03243614-03- 26.12.2024; 12-032315218-03 01.06.2023 გადადებული „ბ“ პოზიცია)

4.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0324355116-03- 20.12.2024)
5.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0324355116-03- 20.12.2024)
6.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03243613-03- 26.12.2024)
7.	ქალაქ თბილისში, ნადიკვრის ქუჩის მიმდებარედ "თაბორი"-ს შთის კალთაზე; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბერძნის, N 39-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.18.04.020.209; 01.18.04.020.208; 01.18.04.020.326; 01.18.04.020.176) ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032435830-03 - 23.12.2024)
8.	" ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, შენაბადას ქუჩა, N41; N28; N26; N30; N24; N18; N49; N51; N45; N16; N39; N20; N47; N22; N43-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.81.02.389.038; N81.02.05.391; N81.02.05.367; N81.02.39.006; N81.02.05.740; N81.02.05.682; N81.02.05.818; N81.02.00.817; N81.02.05.636; N01.81.02.389.037; N01.81.02.389.041; N01.81.02.389.050; N01.81.02.370.038; N81.02.05.809; N01.81.02.389.036; N01.81.02.389.040) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243615-03-26.12.2024)
9.	„ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N590 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-03243618-03 - 26.12.2024)

10.	ქ. თბილისში, აბაშიძის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N448 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03243616-03 - 26.12.2024)

უზრუნველყოფისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. „ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03243612-03 -26.12.2024)

საკითხი წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძემ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის, „ქალაქ თბილისში, მარიჯანის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N24.1785.2010 განკარგულების და „ქ. თბილისში, მარიჯანის ქ. N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის N24.2257.2560 განკარგულების აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმის N14-ის საფუძველზე, კომისიამ იმსჯელა, მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (N10/0124360629-01, 25.12.2024) შესაბამისად, მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N24.1785.2010, 23.10.2024; განკარგულება N24.1968.2208, 20.11.2024) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (განკარგულება N596, 22.11.2024) მიერ შეთანხმებული დამატებითი/დაზუსტებითი (ფაქტობრივად განახლებული) ხელშეწყობი ღონისძიებების ფარგლებში, დამატებითი/

დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით - შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის კოეფიციენტის წარდგენის გარეშე. ამასთან, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს - 0-ით.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-0324361136-03 – 26.12.2024)

საკითხი წარმოადგინა შპს "თბილსერვის ჯგუფი" - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსმა დავით ჩანქსელიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 განკარგულებით დამტკიცებული დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის“ (დანართი 3) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 26 დეკემბრის N 24.2302.2530 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: კომისიამ იმსჯელა, მიუცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზება განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ 206267494) მეშვეობით, შემდეგი სამუშაოების მოცულობით: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქუჩების, მოედნების, შიდა კვარტალური ტერიტორიების, სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობის, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსება და გაუვნებლობა, ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვა, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრა, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად; ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვამოვლების ორგანიზება, მონაცემთა ბაზების დროული განახლება, მომხმარებელთა გადამხდელად დარეგისტრირება, არსებულ დარიცხვაში კორექტირების შეტანა, დარიცხვის შეწყვეტა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული

ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა მიმართვის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელთათვის დარიცხული მოსაკრებლის კორექტირება და ასახვა მონაცემთა ბაზაში; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების ამოქმედების დღიდან, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების გადახდის განწილვადება, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ (დანართი1) მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი პირობებით; დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის მოსახლეობისთვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების განწილვადება, არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა; დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის (საფასური) უზუსტობის შემთხვევაში, დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრა დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ 206267494) ანგარიშზე.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03243614-03- 26.12.2024; 12-032315218-03 01.06.2023 გადადებული „ბ“ პოზიცია)

კომისიამ განიხილა თბილისის მერიის წერილებით (საკრებულოს №12-03243614-03- 26.12.2024; 12-032315218-03 01.06.2023 გადადებული „ბ“ პოზიცია) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის

№39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაზე (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 2 წინადადება.

№12-03243614-03- 26.12.2024;

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.203) მოთხოვნილია სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. N72.13.33.203 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მასზე ნაგავსაყრელის მოწყობა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამრეწველო ზონა 2 (ს-2) არის ერთგვაროვანი სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების და ნაგავსაყრელის ტერიტორიებს. ამავე დადგენილების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 24 დეკემბრის N01243592638 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა. სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება მითითებული ზონის ცვლილება ტერიტორიულ - სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნეს.

№12-032315218-03 01.06.2023 გადადებული „ბ“ პოზიცია

კომისიამ ხელახლა განიხილა 2023 წლის 8 ივნისის (#31 კომისიის სხდომის ოქმი) გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება ბ) ქალაქ თბილისში, ბეჟანიშვილის ქუჩა N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.001) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა. N01.12.12.005.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს უკვე დადგენილ (განცხადების ნომერი: AR1961856) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური N60-01231233554 წერილით აფიქსირებს პოზიციას, რომ ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის გათვალისწინებით აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების არეალი.

სამსახურის მიერ დაფიქსირებული დადებითი პოზიცია მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით ძალაში შევა მას შემდეგ, რაც საპროექტო ტერიტორიას მოეხსნება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების ფენა. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 17 მაისის N01231373271 წერილით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა N01.12.12.005.015 - ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ბეჟანიშვილის ქუჩა N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.001; N01.12.12.005.015 -ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა მისაღებია.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწვევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0324355116-03- 20.12.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2024 წლის 18 დეკემბრის N24.2186.2451 განკარგულებით მოხდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწვევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების მოწონება. პროექტის მიღების მიზეზია, მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ,

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მისაწოდებელი მომსახურებების ხარისხის დახვეწა, ეფექტურობისა და მოცულობის გაზრდა, შესაბამისი რეგულირების დადგენა ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც დაინტერესებული პირი, რომელიც მიმართავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაჩქარებული მომსახურების გაწევის მიზნით, დაინტერესებულმა პირმა იმავდროულად მიიღოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება, რომელიც მას ავტომატურად დაენიშნება. პროექტის მიღების მიზანია, მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მისაწოდებელი მომსახურებების ხარისხის დახვეწა, ეფექტურობისა და მოცულობის გაზრდა, დაჩქარებული მომსახურებების გაწევისათვის შესაბამისი მომსახურებების საფასურების განსაზღვრა. ასევე, პროექტის მიღების მიზანია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - წესი) შესაბამისობაში მოყვანა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში შესატან ცვლილებთან. წესით (შემდგომში - წესი) განსაზღვრულ 10 დღიანი მომსახურებების საფასურების განაკვეთები იზრდება. კერძოდ, მე-5 მუხლის: 41. განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების განხილვა: ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 10000 ლარი, ნაცვლად 5000 ლარისა; ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 17000 ლარი, ნაცვლად 10 000 ლარისა; გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 30000 ლარი, ნაცვლად 20 000 ლარისა; 42. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის განხილვა: ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 10000 ლარი, ნაცვლად 5000 ლარისა; ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 17000 ლარი, ნაცვლად 10000 ლარისა; გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 30000 ლარი, ნაცვლად 20 000 ლარისა; 43. განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვა: ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 15000 ლარი, ნაცვლად 7500 ლარისა; ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 25000 ლარი, ნაცვლად 15000 ლარისა; გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 45000 ლარი, ნაცვლად 3000 ლარისა; 44. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის განხილვა: ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 15000 ლარი, ნაცვლად 7500 ლარისა; ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 25000 ლარი, ნაცვლად 15000 ლარისა; გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 45000 ლარი, ნაცვლად 30 000 ლარისა. პროექტით, წესის მე-5 მუხლს ემატება შენიშვნა, რომლის თანახმადაც დაინტერესებული პირი, ამ მუხლის 41 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 42 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 43 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით და 44 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების გაწევის მოთხოვნის შემთხვევაში,

იმავედროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესის“ (დანართი №13) შესაბამისად. პროექტით ცვლილებები ამოქმედდება 2025 წლის პირველი თებერვლიდან.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0324355116-03- 20.12.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება) 2023 წლის 20 ოქტომბერს განხორციელდა ცვლილება და დადგენილებას დაემატა „მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი“, რითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობანაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში დაინტერესებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისათვის პერსონალური კონსულტანტის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ფორმები და პირობები. წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტით, ცვლილება შედის დადგენილებაში და განისაზღვრება პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობები. პროექტის მიღების მიზანია, პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობების დადგენა. კერძოდ, განისაზღვრება ის დაჩქარებული მომსახურებები რომლის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირი იმავედროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას, პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასურის გადახდის გარეშე. ა.გ.ა) ცვლილება შედის დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში და განისაზღვრება რომ პერსონალური კონსულტანტი იღებს შრომის ანაზღაურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოიცავდეს ასევე დამატებით შრომის ანაზღაურების მიცემას თითოეულ ობიექტზე ან/და ამ წესის მე-9 მუხლის

შესაბამისად გაწეული მომსახურებისათვის; ა.გ.ბ) დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესს ემატება მე-9 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობები, კერძოდ: პირი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 41 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 42 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 43 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით და 44 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაჩქარებული მომსახურების გაწევის მიზნით, იგი იმავდროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას. ასეთ შემთხვევაში ამ წესით გათვალისწინებული განცხადების (პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების მიზნით) წარდგენა არ ხდება. აღნიშნული დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, პერსონალური კონსულტანტი დაუყოვნებლივ უკავშირდება დაინტერესებულ პირს და აცნობებს მის მიერ მომსახურების გაწევის შესახებ. აქვე ზუსტდება რას მოიცავს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება: ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოებისათვის კოორდინაციის პროცესში ხელშეწყობას; გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვის დროს, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის/ზარვეზის/ მოთხოვნის განმარტებას. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება სრულდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვეში. მსგავს შემთხვევაში პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასური არ გადაიხდება. ცვლილებით ასევე განისაზღვრება, რომ ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური კონსულტანტი უკვე ახორციელებს მომსახურებას ამ წესის შესაბამისად და ამ მომსახურების ფარგლებში დაინტერესებული პირის მიერ განხორციელდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნა. პროექტი ამოქმედდება 2025 წლის პირველი თებერვლიდან

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03243613-03- 26.12.2024)

